

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი  
რესურსების საკითხთა კომისიის  
სხდომის ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი

25.06.2021 წელი  
11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

**კომისიის წევრები:** ალექსანდრე მახათაძე, ზაალ სანაძე, ზაზა წულაძე, ზურა კუკულავა, გოგი მორჩილაძე,

**მოწვეული:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია. საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

**კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები:** ოთარ პატიეშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, კარლო კვიციანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „მედალფასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

4.სხვადასხვა.

**კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.  
**მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცი ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086) ) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აღნიშნული ქონება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ა(ა) იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათი სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. უზუფრუქტის ხელშეკრულებას მ/წლის 31 მაისს გაუვიდა ვადა და იურიდიული პირი ითხოვს სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებას.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, მ/წლის 24 მაისს განცხადებით მომართა მოქალაქე თამთა ბერიძემ, რომელსაც სურვილი აქვს სარგებლობაში აიღოს ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა N2-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502) პირველ სართულზე მდებარე (N4 37,28კვ.მ.; N5 12,96კვ.მ; N8 13,13 კვ.მ.-სულ 63,37 კვ.მ) ფართი შემდგომში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად. აღნიშნული ფართი ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მისი განმარტებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, თამთა ბერიძეს ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, მდინარაძის ქუჩა NN2-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.56.072.01.502)

პირველ საბოლოოზე მდებარე ( 4 37,28კვ.მ.; 5 12,96კვ.მ; 8 13,13 კვ.მ.-ხულ 63,37 კვ.მ) ფართი შემდგომში კლანიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მოსაწყობად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „მედალფასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადადგმაზე წერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყეზიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისა, განცხადებით მიმართა შპს „მედალფას“ (ან/ნ - 404908043) დირექტორმა რევაზ გვერენიძემ, რომელმაც საავტომობილო მანქანის მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ნიე ყორდანის/კვირკველის ქუჩაზე მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.56.803) ) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლებით გადადგმა (5 წლის ვადით).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,  
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების  
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:



/ გიორგი ჩახვაძე /

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,  
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის  
სხდომის დასკვნა №5

25.06.2021 წელი  
11:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1., „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

2., „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

3., „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „მედალფასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვამე/

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

**მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თამთა ბერიძისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომზრე ნ, წინააღმდეგა არცერთია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შპს „მედალფასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომზრე ნ, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი  
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ჩახვამუ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, კონების მართვისა და  
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო  
 ფურცელი

25.06. 2021 წელი  
 11:00 საათი

|   | სახელი, გვარი       | გამოცხადების დრო | ხელმოწერა   |
|---|---------------------|------------------|-------------|
| 1 | გაიორგი ჩახვაძე     | 10 45            | ვ. ჩ. ხ. ხ. |
| 2 | ზაზა წულაძე         | 10 50            | ვ. წ. წ.    |
| 3 | კარლო კვიციანიშვილი | მთ. აღმნიშვნელ   | ვ. კ. კ.    |
| 4 | ალექსანდრე მახათაძე | 10 55            | ა. მ. მ.    |
| 5 | ზაალ სანაძე         | 10 55            | ვ. ს. ს.    |
| 6 | ოთარ პატეიშვილი     | მთ. აღმნიშვნელ   | ვ. პ. პ.    |
| 7 | ზურაბ კუკულავა      | 10 55            | ვ. კ. კ.    |
| 8 | ირაკლი მარშანიშვილი | მთ. აღმნიშვნელ   | ვ. მ. მ.    |
| 9 | გოგი მორჩილაძე      | 11 00            | ვ. მ. მ.    |